ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 10 მ.

ეშმაკის ბაღანები

№ 21

1920 წ.
აპრილის 1

აღდგომის კვერცხი.

სპეკულიანტი. მე არ მიყვარს დედალსავით კაკანი: ჩუმად ვდებ საღდგომო კვერცხსა. დეე, მყიდველი ახმაურდეს და აკაკანდეს, ამ კვერცხის ფასს რომ გაიგებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს

(მომენტის შესახებ)

სოლომონ! დიდთა მგოსანთა შორის ჩირაღდნად სობილო,
შენა ხარ ჩემი ნუგეში, მოკრძალვით გეტყვი, ძმობილო,
შენკენ ისწრაფის გონება ჩემი, ვით ავტომობილო
შენ შეივრდომე ბედკრული, ჩვენად ვარსკლავად ხმობილო.
ახალი წელი... აღდგომა... დღენი ტკბილ სანეტარონი
ჩემთვის გამხდარან მარად ჟამ მწუხარებისა წყარონი
არსით ამბავი, არ ცნობა გულისა გასახარონი,
თუ შენ არ მიხსენ, ისა სჯობს რო გამითხარონ ხარონი.
მიბრძანეს წერა ამბისა, საამო მოსასმენისა
მე კი, ვით მუნჯი შეგყურებ, დაძვრად არ ძალმიძს ენისა,
კვალად შენ უნდა შეგჩივლო ამბავი დღისა ჩვენისა
ყური მათხოვე, სულმნათო, ძალა თუ შეგწევს სმენისა.
შენ მოგახსენებ ყველაფერს, რაც გულში დანაგუბარა.
(თუ სხვათა კრძალვა არ მქონდეს, გავსკდები ვითა ყუმბარა).
„დუშაშს“ ვილოდი, მნათობო, გამომიგორდა „დუბარა“
არც ხალილ ფაშა დამზოგავს, არცა თუ ფაშა ნუბარა.
ანტანტა გაჩნდა რაღაცა, დასავლეთ ევროპაშია,
ჯერ მისებურათ ამ სოფლად არავის უპარპაშია.
წელიწადია ქეიფობს, სჭამს რაც მოხვდება ყბაშია
თვით პრეზიდენტი ვილსონი, იმისი ტოლუმბაშია.
იმა ანტანტას საბჭოც ყავს, „უმაღლეს საბჭოთ“ რქმეული.
მას უნდა: მხარე ბათუმის ჩვენგან ჰყოს ჩამორთმული,
რა დავუშავეთ არ ვიცით, არა ვართ გამორკვეული
ან მოსყიდული ვინმეა, ან შურით გადარეული.
შენ კარგათ იცი, სოლომონ, ბათუმი რარიგ გვჭირია,
მთელი ქვეყანაც რო მოსდგეს, დათმობა გასაჭირია,
ანტანტის დადგენილება ასე ვთქვათ გასაკვირია
მიკვირს თუ კრება მაღალი ამ რიგათ ვითა ირია.
არ ჰშვენის ინგლისს, ქართველთა წარსტაცოს ნავთსაყუდარი,
(ერთი გვაქვს სანაპიროზე სხვათა ბოღაზთა უდარი)
ჩვენ მასთან ჩხუბი არ გვარგებს, არც შეგვშვენს ხვეწნა მუდარი
გვაქვს მხოლოდ წყალმა უზომო ჩვენ გულში დანაბუდარი.
შარშან მოგწერე წერილი, მგოსანთა შორის დიადო,
პასუხს ველი და ვერ ვხედავ, გსურს გული დამიწყვდიადო,
მომწერე შენი ჭირიმე, მოლოდინე ვარ ფრიადო,
ეგ ერთი მიჩანს, ხომ იცი, ვარსკლავი საგანთიადო.
მაშინა გწერდი, სულმნათო, რუსეთის ბედსა მწარესა...
მას შემდეგ, იმა რუსებმა დიდძალი სისხლი ღვარესა,
მოყვრები შემოირეკეს, მტრები კი გაახარესა,
უწესოების წესრიგი შინ მკვიდრათ დაამყარესა.
ლენინმა სძლია დენიკინს, კვლავ ისიც დენიკინია,
ხალხს რუსეთისას, ასე ვთქვათ, გადაუბრუნდა ტვინია
მუსრავენ ერთი მეორეს, რათა მოიკლან ჟინია....
ორი წელია გულმშვიდათ იქ არვის დაუძინია.
დღეს, ზღუდეს საქართველოსას ჯარი არტყია რუსისა.
გუშინ თუ დენიკინობდა, დღეს ის ლენინმა უსისა
არ ზოგავს ქალსა, არც ბავშვსა, წითლათა ღებავს რუს ისა
დღე სძინავს, ღამით მძარცველობს... ამით ვამსგავსე ბუს ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გასწორდება ქვეყანა, სოლომონ, თვალო ერისა,
მუდამ დაურჩეს სიკეთეს სოფლად სიმრავლე მტერისა,
არ გვეშინია მახვილის ლენინის მონაღერისა
ხმას შევეჩვიეთ ტყვიისას და იარაღთა ჟღერისა.

სიდუხჭირე ცხოვრებისა შენ კარგათ გაქვს შენათვისი
რას გვერჩიან ეგ რუსები, ვერ გავიგე აზრი მისი,
ჩვენთვის ვზივართ, არვის ვებრძვით, არაფერი გვინდა სხვისი
გაჭივრებულს ვეხმარებით რაოდენ არს შესაძლისი.

დენიკინის არ მიკვირდა ყოყოჩი და ფახი-ფუხი
ღრინავდა და მურათობდა მთის გადალმა დათვი რუხი,
ჩვენწილ მხოლოდ მუქარაზე და მტრობაზე იყო უხვი
წიწილების მოგროვებას აპირებდა ვითა კრუხი.

ლენინს ვამბობ, ულიანოვს, „სოციალიზმს“ რო ამყარებს,
ჩვენ წილ, ვითა დენიკინი, ისიც შფოთავს და მქუხარებს
თუკი შესძლო, არ მოგვაკლებს ასაკლებად წითელ ჯარებს
და როს მოგვსპობს.... ჩვენს საფლავზე ალბათ ისიც გაიხარებს.

მაგრამ შენ თვით მოგხსენდება, ქვესკნელთა და ცათა მხედო,
სწავლება და მითითება მითხარ ვითა გაგიბედო,
რომ სიტყვები ლენინისა ის არ არის რაც გულს ედო
მას დაპყრობა ჩვენი უნდა, ჩემო გვრიტო, ჩემო მტრედო.

იმპერიალისტი გახდა ის ლენინი დიდთა დიდი.
ოსმალეთის დასაპყრობათ ჩვენზე უნდა გასდოს ხიდი.
ბურგალობა მთელს რუსეთში დენიკინის გადამკიდი,
ახლა ცენტრი მოითავა, დარჩა მხოლოდ განაკიდი.

მაგრამ რუსეთს აღელვებულს რა დაამშვიდ დააწყნარებს?
ტალღა ტალღას ეკიდება, უხვად იშრობს სისხლთა ღვარებ ს
დენიკინსა მახნო შესცვლის, მეფის სურათს წაიმძღვარებს
რუსის გლეხი მასაც ისე, ვითა ლენინს შეიყვარებს!

ან კი რა ჰქნას უბედურმან, გაეგება მეტი ვერა,
ვინაც ძალით დაიმონებს მ.ს ემხრობა, მისი სჯერა,
ამით ურცხვად სარგებლობდა ყველა ფლიდი, გაიძვერა
შავი''იყო, თუ ყვითელი, ან თუ კიდევ წითელ ფერა.

(შემდეგი მეორე აღდგომას)

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომა.

— მარტის 4-ს ქართულ კლუბის დარბაზში შესდგება მორწმუნეთა კრება.

— მარტის 4-ს ქართულ კლუბის დარბაზში გაიხსნება ქართულ მწერალთა კონფერენცია.

(გაზეთის ქრონიკადან).

ბზობა დილით დედა ღვთისა მივიდა იესოსთან და უთხრა:

— უფალო და ძეო ჩემო! შენ იცი, რომ ჩემს წილხვედრილ საქართველოში ამ ჟამად დამოუკიდებელი ეკლესიაა. დღეს თბილისში მართლმორწმუნეთა კრებაა. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევ და თუ არ შესწუხდები, წადი, დაესწარი ამ კრებას. დიდი ხანია იქაური საეკლესიო ამბების არა ვიცით რა...

იესო დასთანხმდა, დაბრძანდა ვერცხლის ღრუბელზე და დაეშვა.

მორწმუნეთა კრება ქართული კლუბის შენობაში იყო დანიშნული და იესოც პირდაპირ ქარვასლის ეზოში ჩამოეშვა.

— მგონია აქ უნდა იყოს კრება?—ჰკითხა მან შვეიცარს, კლუბის შენობაში რომ შევიდა.

— დიაღ. აქ გახლავთ.

— მასწავლეთ სად უნდა წავიდე.

— კიბეზე რომ აბრძანდებით. მარცხნით შეუხვიეთ: პურის საჭმელ დარბაზში გახლავთ, აუხსნა შვეიცარმა.

დარბაზი ხალხით სავსე იყო, ასე რომ იესო თითქმის შეუმჩნეველად შევიდა, იპოვა თავისუფალი სკამი და დაჯდა.

— საშას გაუმარჯოს! — მოესმა იესოს მარცხნიდან და მიიხედა.

— უკაცრავად, აბაშელი მეგონეთ!—წაილულღლულა მეზობელმა: ძალიან ჰგავხარ... თქვენ აქაური არ უნდა იყოთ... პროვინციიდან იქნებით.

— დიაღ,—უპასუხა იესომ.

— ბოდიშს ვიხდი: თქვენი გვარი?

— დურგლიშვილი, ბატონო,— მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა იოსემ.

— დურგლიშვილი... დურგლიშვილი... თქვენ არ უნდა იყოთ სიაში გამოცხადებული... რაღაც არ მახსოვს ასეთი გვარი.... უკაცრავად: თქვენი ფსევდონიმი?

იესომ ბერძნული კარგათ იცოდა და მიხვდა, რომ ფსევდონიმი ცრუ სახელს ნიშნავდა; ამასთანავე მოაგონდა, რომ პირველ საუკუნეებში, როცა ქრისტიანებს სდევნიდენ, მორწმუნენი ხშირად ირქმევდენ ხოლმე მეტ სეხელებს და იფიქრა, ეს ჩვეულება დღემდისაც შერჩენიათო.

— ჩემი ფსევდონიმი „მოვლინებული“ გახლავთ. უპასუხა მან.

— მოვლინებული..—გაიმეორა მეზობელმა: ეგ ფსევდონიმია სიაში. თქვენ უნდა განაცხადოთ და სიაში შეგიტანენ.

იესომ შეამჩნია, რომ მის მობაასეს გულზე ვერცხლის პატარა ჯვარი ჰქონდა მიბნეული, სხვას კი ასეთი ნიშანი ვერავის დაუნახა. „სჩანს, წარჩინებული მორწმუნეაო“, იფიქრა და გაუბედავათ ჰკითხა;

— თქვენ ვინა ბრძანდებით, ბატონო?

— არ მიცნობთ?—გაკვირვებით და თითქოს რაღაც სიბრალულით შენიშნა ჯკრიანმა: მე იოსებ იმედაშვილი ვარ, არიმათიელი.

— უკაცრავად კი არ ვიყო და ეგ ჯვარი რა არის?—კვლავ ჰკითხა იოსემ.

— ეს სომხების ომში მივიღე ჯილდოთ.

— როგორ? თქვენ იბრძოდით? ხალხი დახოცეთ?—გულნატკენათ წამოიძახა იესომ.

— არა.. მოკვლით არავინ მომიკლავს..,

— ჰო, მივხვდი: მაშ მიტომაც დაუჯილდოებ-ხართ, რომ არავინ მოგიკლავსთ, შენიშნა, დამშვიდებულმა იესომ.

ამასობაში კრებაც გაიხსნა და პრეზიდიუმის არჩევას შეუდგენ.

იესომ დამსწრე ხალხის დათვალერება დაიწყო. არავითარი მსგავსება არ იყო ძველ მორწმუნეთა და ამათ შორის. პირველ ქრისტიანების აღზნებული თვალები, ზეგარდმო შთაგონებული და გულთა მხილავი, ისე ჰგავდა ამათ დამქრალსა და უტყვ თვალებს, როგორც ალმასი მინას, როგორც ცეცხლ-ყინულს. არავის სახეს არ ეტყობოდა ის გატაცება, ძლიერი რწმენა და შინაგანი ძალის, ანუ სპეტაკი სულის ბეჭედი, პირველ ქრისტიანებს რომ ახასიათებდა. სახ ს მეტყველების მიხედვით ახალი მორწმუნეები სამ ნაწილად იყოფოდენ: პირველი ნაწილი—მოხუცები, რომელთა სახეზე ეწერა: „ჩვენ ჩვენი გზა განვლეთ, დავილალენით. ეხლა ჯერი თქვენზეა, ყმაწვილებო!“ მეორე ნაწილი-შუა ხნისანი: ამათ სახეს არაფერ ეტყობოდა გარდა ყოველ დღიურ ვარამისა და ჭაპან-წყვეტისა: „პური ჩვენი არსებისა მომეც ჩვენ დღეს!“ ლოცულობდნენ მათი თვალები. მესამე ნაწილი—ახალგაზრდები: ესენი ისე ჰგავდნენ კმაყოფილსა და თავმომწონე მამლაყინწებს, რომ ასე გეგონებოდა: აი, ამ წუთშივე ყივილს მორთავენო. „ჩვენა ვართ რაცა ვართ, დანარჩენები მიჰქარავენო“, ამბობდენ მათი თვალები.

იესოს რაღაც სრულიად უჩვეული უსიამოვნო გრძნობა დააწვა გულზე და მიხვდა, რომ ეს გრძნობა საშინელი მოწყენილობის გრძნობა იყო. 2000 წლის განმავლობაში მან აი, აქ, ამ კრებაზე განიცადა პირველად ეს გრძნობა და ისე შეაწუხა მან, რომ კინაღამ გაიმეორა გეთსამანიის ბაღში თქვამი სიტყვები: „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილამდე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება დაეწყოთ კიდეც და სიტყვას ამბობდა ვიღაც მოხუცებული კაცი, იესოს ერთ-ერთ საყვარელ მოწაფეთაგანის სეხნია, რომელიც ამტკიცებდა, რომ მეთორმეტე საუკუნის მწარალი შოთა რუსთაველი დღევანდელ ახალგაზრდა მწერლებზე უფრო კარგათ სწერდა და „ვეფხის ტყაოსანის“ კითხვა სასარგებლოაო...

— თქვენ არ განაცხადეთ, ბატონო დურგლიშვილო, რომ სიაში არ ხართ შეტანილი?—სრულიად მოულოდნელათ ჰკითხა იესოს იოსებ არიმთიელმა. არც კი დაუცდია პასუხისთვის, წამოიჭრა ადგილიდან და დაიყვირა:

— ბატონო თავმჯდომარევ! გთხოვთ შეიტანოთ სიაში ახალგაზრდა მწერალი დურგლიშვილი, ფსევდონიმი—მოვლინებული,“ პოეტი, დრამატურგი და აგრეთვე ბელეტრისტი, „თეატრის და ცხოვრების“ თანამშრომელი.

სწორედ ამ დროს, იესომ ყური მოჰკრა, ვიღაც ახალშემოსული კაცი სიცილით ეუბნებოდა მის უკან მჯდომ ახალგაზრდას:

— კაცო, დასწყევლოს ღმერთმა, მოდი და ნუ გაგეცინება! მთელ ნახევარ საათს ვიჯექი მორწმუნეთა კრებაზე, სრული დარწმუნებული, რომ მწერალთა კრება იყო. კათალიკოსი რომ არ შემოსულიყო, ეხლაც იქ ვიქნებოდი!

— რას, ამბობ, კაცო?. თუმცა რა გასაკვირალია!.. დიდი განსხვავება არ უნდა იყოს!—ხარხარით უპასუხებდა მეორე.

— უკაცრავად, სად არის, ბატონო, მორწმუნეთა კრება?—მიმართა იესომ ახალშემოსულს, რადგან მიხვდა, რომ თითონაც შეცდომის მსხვერპლი იყო.

— აი აქეთ, ბატონო, სათეატრო დარბაზში, უპასუხა მან.

იესოს გულზე მოეშვა, ფიცხლავ ადგა და მორწმუნეთა კრებაზე გაეშურა.

რაც მოხდა იესოს წასვლის შემდეგ, და რაც მოხდება ამიერიდან ქართულ მწერალთა კონფერენციაზე, ამას შემდეგ მოვახსენებ მკითხველს, ახლა კი ვეეედრები ყოვლად მოწყალე იესოს, შემინდოს და მომიტევოს, რომ ქართველ მწერალთა კრებას დავასწარი. ამ ჩემს სასტიკ ცოდვას საფუძვლიანი გასამართლებელი საბუთი აქვს: საღვდგომო თემა სხვა პირველ მოთხოვნილების საგანზე არა ნაკლებ გაგვიძვრა და ხელოვნების გამო იძულებული გავ დი ამ თემით ოლად წავს ლიყავი.

თაგუნა.

ნიკორა.

დღეს ყველას ენაზ აკერია ნიკორას ამბავი. არ არის ისეთი კაცი, იმას რომ არ ჰკიცხავდეს იმ საქციელისათვის, რომელიც სახელმწ ფო თეატრში ჩაიდინა ამას წინათ. ხალხი მუდამ აგეთია: ოღონდ გასაკიცხი და ყბად ასაღები კი იშოვონ რამ, და მიზეზის განხილვას ვინ-ღა დაგიდევს. მოვალეთ ვთვლით ჩვენს თავს, ნიკორას უბრალოდ გატეხილი სახელი აღვადგინოთ და მკითხ ელ საზოგადოებას დავწრილებით მოვახსენოთ ის ამბები, ნიკორას „გასაკიცხი“ საქციელი რომ გამოიწვია.

ერთხელ ქუჩაში ხალხის ჯგუფს მოჰკრა თვალი. ნიკორა მივარდა და დაინახა, რომ ვიღაც ცოცხალ-მკვდარი კაცი ქუჩაში ეგდო და ეს ხალხი გარს ეხვია.-რაამბავია? იკითხა აღელვებულმა ნიკორამ.—ავტომობილმა გაიტანა საწყალი... წვრილ-შვილიანი კაცია. შიმშილით დაეხოცება ოჯახი, —უპასუხა ვიღაცამ. ნიკორას კეთილი გული სიბრალულით აივსო, მოტრიალდა ნიკორა, იშოვა სადღაც ფულის საკრები ყულაბი და შეუდგა ავტომობილით გატანილ კაცის ოჯახობის სასარგებლოთ ფულის შეგროვებას.

რუსთაველის პროსპექტზე მიცვალებულს მიასვენებდნენ და უკან დიდ-ძალი ხალხი მიჰყვებოდა. ...ი სად შეეწევიან ბევრს,—გაიფიქრა ნიკორამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაიმე, ვაიმე! რა მამა დავკარგე მე უბედურმა! — მოსთქვამდა გულ მოსაკლავად მიცვალებულის ჰირისუფალი.

— თქვენ დიდი უბედურება შეგმთხვევიათ, ქალბატონო, მაგრამ ნუ იქნებით ეგოისტი: სწორეთ ასეთივე უბედურება დაატყდა თავს იმ ოჯახს, რომლის მამა დღეს ავტომობილმა გაიტანა, ჩაიკალთ გულში თქვენი პირადი გრძნობა და შეეწიეთ უპატრონოთ დარჩენილ წვრილ შვილებს, — უთხრა ნიკორამ მას და ყულაბი გაუწოდა.

— ყმაწვილო, თქვენ გიჟი ხომ არა ხართ? არ იცით, რომ აქ მაგის ადგილი არ არის? — მოესმა ნიკორას მრისხანე ხმა და ვილაცას ლონიერმა ხელმა მაგრათ უბიძგა.

ნიკორას ფრიად გაუკვირდა ეს ყოვლად უცნაური საქციელი.

ნიკორა გამოტრიალდა თვალი მოჰკრა ათიოდე ეტლს, რომლებმაც ზედი ზედ ქაშვეთის ეკლესიისკენ შეუხვიეს. ჯვრის დასაწერად მიდიან, — გაიფიქრა ნიკორამ და საჩქაროთ გაექანა ქაშვეთში.

— გსურს? — ჰკითხა მღვდელმა სიძეს.

— მსურს, — უპასუხა სიძემ.

— გსურს,? — ჰკითხა ახლა პატარძალს.

— მსურს, — უპასუხა ამანაც.

— მე ვიცი, რომ თქვენ ორთავეს გსურთ, ჩაერია ქაქანით შემოჭრილი ნიკორა, მაგრამ ამ სქესობრივ აღტყინების დროს არ უნდა დაივიწყოთ ის უპატრონო ოჯახიც, რომლის მარჩენელი მამა დღეს ავტომობილმა გაიტანა: შეეწიეთ ბატონებო! და ყულაბი გაუწოდა.

— გაიყვანეთ ეს ვილაც გიჟი მოთრეულა, უდიერათ ბრძანა მღვდელმა და გაკვირვებული ნიკორა რაღაც მანქანებით უცებ ეკლესიის ალაყაფის კარებთან გაჩნდა.



ნიკორა ისევ რუსთაველის პროსპექტზე გამობრუნდა. აქ მან დაინახა, რომ ვილაც კაცმა საშინელის გამომეტყველებით გადაირბინა ქუჩის ქვაფენილი და ეზოში შეავარდა. — ვერ გამექცევი! — გაიფიქრა ნიკორამ და გამოუდგა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ აქ ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებთ, ბატონო ჩემო, და ის საბრალო ლაბორ-ი არ გაგონდებათ, რომლის მამაც დღეს ავტომობილმა გაიტანა, შეეწიეთ — უთხრა ნიკორამ და ყულაბი გაუწოდა.



პირში ჩალა გამოვლებული ნიკორა ის იყო ეზოდან უნდა გამოსულიყო, რომ უცებ სახლის პირველ სართულიდან რაღაც ხმაურობა და ხარა-ხური მოესმა. ნიკორამ არც აცივა, არც აცხელა და შიგ იმ ოთახში შეიჭრა, საიდანაც ხმაურობა ისმოდა. ორი ახალგაზრდა პოეტი ერთმანერთს თავპირს ამსხვრევდენ და მარჯვე დროს ეძებდენ, რომ ყელში წაევლოთ ხელი დასახრჩობათ!

— ჰა, შე უნიჭო! ჰა, შე უნიჭო! ხავილით ამბობდა ერთი და უბაყუნებდა.

— შენი ლექსები კოშმარია!.. კოშმარია!.. კოშმარია! — უპასუხებდა მეორე ქვეშიდან და უბაყუნებდა.

— მოითმინეთ, ყმაწვილებო! თქვენ არა გაქვთ უფლება ერთმანეთის სასიკვდილოთ გამეტებისა-ვიდრე კაცობრიული ვალი არ მოგიხდიათ! ჯერ შეეწიეთ იმ უმწეო ბავშვებს, რომელთა, მამა დღეს ავტომობილმა გაიტანა და შემდეგ შეგიძლიათ დამშვიდებულ სინდისით მოჭკლათ ერთმანეთი? უთხრა მათ ნიკორამ.

პოეტებმა თავი დაანებეს ერთმანერთის ზურგს და მოქმედება ნიკორას ზურგის ტერიტორიაზე გადაიტანეს.



განცვიფრებული და დაბეჭილი ნიკორა საავადმყოფოში წავიდა. ნაღრმობი მარცხენა მკალვის ჩასაგდებათ. მკლავი რომ ჩაუგდეს და გამოსვლას აპირებდა, შეამჩნია რომ ერთ ოთახთან რაღაც ფაცი-ფუცი იყო. — იქნება აქ შეეწიონ, გაიფიქრა მან და შევიდა. საოპერაციო მაგიდაზე გაბანგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფი იდო. ექიმები გაფაციცებით მუშაობდენ, რადგან რამდენიმე წუთი რომ დაჰგვიანებოდათ, ავადმყოფი ვერ გადაიტანდა ოპერაციას.

— თქვენ გინდათ სიცოცხლე დაუბრუნოთ და გაჰკურნოთ სნეული ადამიანი და ის კი არ გაგონდებათ, რომ სრულიად საღ ბავშვებს, რომელთაც არავითარი სენი არა სჭირთ, შიმშილით სიკვდილი მოელის, რადგან მათი მარჩენალი მამა დღეს ავტომობილმა გაიტანა. შეეწიეთ.—უთხრა ნიკორამა და ყულაბი გაუწოდა.

აქაც მარცხით გამოისტუმრეს ნიკორა.

საავადმყოფოდან რომ გამოაგდეს, შელამებულიყო კიდეც. ნიკორა ალექსანდრეს ბაღით წამოვიდა ზევითკენ. ერთ სკამზე ქალ-ვაჟი იჯდა და თუმცა ორნი იყვნენ, მაგრამ როგორღაც ისე მოეხერხებიათ, რომ ერთ სხეულსა ჰგავდნენ.

— რას შვები! მე მაგას შენგან არ მოველოდი.. ჩურჩულით ამბობდა ქალის მიბნედილი ხმა.

— ერთი კიდევ.. ერთი.. გენაცვალე!., ასე! მიყვარხარ!.. ძლივს!.. ლუღლუღებდა კაცი.

— შემირთავთ?. დამიფიცეთ, შემირთავთ?. ჰკითხავდა ქალი.

— გეფიცები ცოლ-შვილს, შეგირთავ!—უპასუხებდა კაცი.

ჩურჩული რომ მიწყდა ჰაერი ნიკორას ბარიტონმა გაარღვია.

— თქვენ ნება არა გაქვთ, ზნეობრივ გზას ამცდარნო ადამიანნო, სიტკბოებას მიეცეთ მაშინ, როდესაც ავტომობილისაგან გატანილი კაცის წვრილი შვილები შიმშილით იხოცებიან. შეეწიეთ! —და გაუწოდა ყულაბა.

ქალ-კაცი ერთმანერთს მოსწყდნენ და ზეზე წამოვარდნენ.

— უნამუსოვ!—გაისმა ქალის ხმა და რაღაც საეკვო ტლაშანი მოჰყვა.

— არამზადავ!—დაიგრიალა ვაჟმა და ლაწანი მოისმა.

ალექსანდრეს ბაღიდან ნიკორამ დაინახა სადგურის მხრივ ცერხლის ალი და შავი კვამლი, იწვის, გაიფიქრა მან: იქ წავალ! და გაიქცა იქითკენ, სადაც ცეცხლი მოსჩანდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

15 წუთის შემდეგ სირბილით დაქანცული ნიკორა ცეცხლ მოკიდებულ სახლზე მიდგმულ კიბეზე ადიოდა.

— მიშველეთ! ბავშვები მეწვის მიშველეთ!—გიჟივით მიაძახა ნიკორას ფანჯრიდან სასოწარკვეთილმა ხმამ.

— უკაცრავათ! თქვენ მხოლოდ თქვენი საკუთარი ბავშვების გაჭირვება გაწუხებს და ის გავიწყდება, რომ ამ წუთში შიმშილისაგან ილაჯ წართმეული ჰყრიან ის ბავშვები, რომელთა მამა ავტომობილმა გაიტანა. შეეწიეთ!—წარმოსთქვა ნიკორამ და ყულაბი მიაწოდა, მაგრამ, რალაც მიზეზით ქვასავით წამოვიდა ქვევით და კიბის ერთ საფეხურს რომ არ ჩამოჰკიდებოდა, ტვინს დაანთხევდა მიწაზე.



ქალაქის მცხოვრებთა სიავით გულგატეხილ ნიკორას სოფლის გულღია და გაუფუჭებელი ხალხი მოაგონდა. სადგური ახლოს იყო. ჩაჯდა მატარებელში და გასწია სოფლისაკენ. გზაში, ვნახოთ, უეცრათ მატარებლ მოწყვეტივ გააჩერეს.—კაცი გაჭყლიტა! კაცი გაჭყლიტა!—გაისმა აქეთ იქიდან მგზავრების ყვირილი. ნიკორას სასწრაფოთ ჩამოეშვა ვაგონიდან და უკან გაიქცა ლიანდაგზე. მართლაც მატარებელს ვიღაც კაცი გაეტანა და ცალი ფეხი მოეჭრა.

— თქვენ იტანჯებით, მეგობარო!—დაიწყო ნიკორამ: მე მესმის თქვენი ტარნჯვა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ის მხოლოდ ფიზიკურია მაშინ, როდესაც იმ საბრალო ბავშვებს, რ-მელთა მამა დღეს ავტომობილმა გაიტანა, მოელის არა მარტო ფიზიკური, არამედ ზნეობრივის სულიერი ტანჯვა წამებაც. შეეწიეთ!—და გაუწოდა ყულაბი.

ფეხ გადაჭრილმა ერთი საშინლად დაიკვნესა, მოიკრიბა რაც ძალი და ღონე ჰონდა, აიღო თავისი მოჭრილი ფეხი და შიგ სახეში სთხლიშა ნიკორას.

რა მოხდა შემდეგ, ნიკორა რომ თბილისში დაბრუნდა ყველამ იცის: რაკი ერთიც ვერ იპოვა ისეთი ადამიანი, რომელსაც გულის მაგიერ მკერდში ქვაარ სდებოდეს და უბრალო კაცთმოყვარეობის გრძნობა შერჩენოდეს, ნიკორამ გადასწყვიტა ჩვენი საზოგადოების საჯაროთ მხილება, ხოლო სად უნდა ეპოვა ეს სამხლიებელი საზოგადოება ერთათ თავშეყრილი, თუ არ თეატრში. აღშფოთებულმა ნიკორამ დაამზადა მშვენიერი სიტყვა და გასწია სახელმწიფო თეატრში. იმ საღამოს „ჰუგენოტებს“ თამაშობდენ მიშელ დარიალის მონაწილეობით. უკანასკნელ მოქმედებაში, სწორეთ იმ დროს როდესაც თავდავიწყებული ნანობაშვილი უმღერდა თავის სატრფო si-ბემოლიან „მითხარი კიდევ, რომ გიყვარვარ“, სცენაზე შემოიჭრა გაოფთრებული ნიკორა, მოვარდა რამპასთან, გასწია რაული და დაიწყო: „გულქვა საზოგადოებავ!?..

აღარ დასცალდა. ამფითეატრის უკანასკნელ წყებიდან წამოვიდა კ. ფოცხვერაშვილის ხელი, სწვდა საბრალო ნიკორას და გადმოსვა სცენიდან.

ეხლა თქვენ თითონ ბრძანეთ, განა გსაკიცხია კეთილშობილი ნიკორა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფულეტონი

მომასწრეს!

ვინ იცის რამდენჯერ მითქვამს, მაგრამ ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ ახალი წლის დღესასწაული ჩემი ტანჯვაა, ხოლო აღდგომა კი ტანჯვაწამება.

სამწუხაროთ, დამფუძნებელ კრებაში არც ერთ გავლენიან პირს არ ვიცნობ, თორემ იმ უქმე დღეთა სიაში, რომელიც მან მოსპო, აღდგომასა და ახალწელიწადს უთუოდ შევატანინებდი.

მე მეტსაც ვიტყვი. მართალია წმინდანი არა ვარ, მაგრამ დიდ მორწმუნე კაცად მაინც მიმაჩნია ჩემი თავი და მიუხედავათ ამისა რამდენჯერ განვიზრახე რჯული გამომეცვალა, მაჰმადიანობა მიმეღო, რომ ამ გზით ეს ორი აბეზარი დღე თავიდან მომეშორებია. აშკარათ ვამბობ, რომ ამგვარ გადაწყვეტილებასთან მრავალ ცოლიანობის სურვილს არავითარი კავშირი არა ჰქონია, ის პირდაპირ ზემოხსენებულ მიზნით იყო გამოწვეული.

მიზეზი ამ სიძულვილისა გახლავთ საახალწლო და სააღდგომო ნომრების შედგენა. საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ახალწელიწადსა და აღდგომას „ეშმაკის მათრახიც“ „ეშმაკის მათრახს“ არა ჰგავდეს, რომ ის სადღესასწაულო იყოს. ეს კი ჩვენ, მის თანამშრომლებს, ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებს, ვინაიდან ეს პატივცემული დღეები ზოგჯერ ისეთ უხერხულ დროს გამოეჩხირებიან ხოლმე, როცა სადღესასწაულოთ სრულიადაც არა გცალია.

სააღდგომო ნომერი განსაკუთრებით ძნელია, ვინაიდან გაზაფხულის პირად გვიწევს მისი შედგენა და ხომ მოგეხსენებათ ამ თვალწარმტაც დროს ადამიანი ძნელათ დაუდებს ხოლმე გულს საწერ კალამსა და ქაღალდს. ჩვენ ამ დროს, როგორც სხვანი ყველანი „ბუნებაში შევდივართ“

ჩვენს რედაქციას ასეთი გასაჭირისათვის ორი გამოსავალი აქვს და ვაი იმ თანამშრომლის ბედი, რომელიც ერთ-ერთ ამ გამოსავალს დროზე ვერ მონახავს. ეს მდგომარეობა დაახლოებით სააღდგომო სტუმრების მოწვევას მოგვაგონებს.

რამდენჯერ ამიტანია უსამართლო საყვედური ჩემი კარგი მეგობრებისა:—რა დაგემართა, კაცო, ამ დღესასწაულზე ჩემთან ერთი ჭიქა ღვინო არ დალიე, შემომჩივლებენ ხოლმე ისინი.—რა ვქნა, ჩემი კარგო, ვუპასუხებ მე,—ვისაც ჩემი სტუმრობა უნდა, ის ერთი კვირით ადრე მეუბნება, შენ სხვებმა მოკასწრეს. ამგვარი მედიდურებით ვაძლევ ხოლმე პასუხს სხვა დანარჩენებსაც.

მაგრამ როგორც ვხედავ წერის საგანს გადავცდით. ის ორი გამოსავალი, რომლის შესახებაც მე ზემოთ მოგახსენეთ გახლავს: იესო ქრისტე და სოლომონ ზურგიელიძე. თითქმის ყველა ტვირთ მძიმე და გაჭირვებული ჩვენი ჟურნალის რედაქციიდან ან ერთს, ან მეორე გამოსავალს მიმართავს ხოლმე.

მეც პირველ ყოვლისა სამოთხის კარებს მივუკაკუნე და პეტრე მოციქული გამოვიძახე.

— ვინ გნებავთ? იყო ხმა შიგნითგან.

— გააღეთ ბატონო კარები და მოგახსენებთ.

— კარის გაღება შეუძლებელია, მომიგო პეტრემ,—ხომ ხედავ აქედან ბალშევიკები გვყავს მომდგარი, იქიდან ინგლისელები. გვითხარით ვინ გნებავს.

— იესო ქრისტე მინდა სულ ორიოდ საათით დაბლა ჩავიყვანო.

— რა საქმეზე?

მე სირცხვილით დავიწვი. აღარ ვიცოდი რა მეთქვა. როგორ გამემხილა, რომ რაღაც უბრალო ფელეტონისათვის მსურდა მაცხოვარის ზეციდან დაბლა ჩამოყვანა. ეს იმასა ჰგავს რომ ორიოდ ოთახის გულისათვის ნოე ჟორდანია შეაწუხო. მალე გამოვერკვიე და მიზეზიც მოვიგონე.

— მინდა რომ ჩვენი სამღვდელოება ინახულოს და...

— თქვენ დაიგვიანეთ, ბ-ნო მორიელო, იესო ქრისტე ამ მიზნით უკვე მიიპატიჟა თქვენმა ცნობილმა თანამშრომელმა თაგუნამ.

თავზარი დამეცა! მართალია თაგუნასაც ჩვენი ჟურნალისთვის უნდა გამოყენება ამ ძვირფასი სტუმრისა, მაგრამ მე მაინც ჩემი უმწეო მდგომარეობა მაწუხებდა. რამდენი ტკბილი სიტყვა მე იმ თაგუნას გავუგზავნე იმდენი სიკეთე თქვენ, ჩემო მკითხველო, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ უშველიდა, გადავსწყვიტე მეორე გზის ცდა.

— უკაცრავად, ბ-ნო პეტრე, მაგრამ ნუ დაიზარებთ, დამავალეთ, და ერთი ბ-ნ სოლომონს დაუძახეთ.

— რომელ სოლომონს, აქ სოლომონი ათასია.

— რასაკვირველია სოლომონ ზურგიელიძეს, მე სხვებს არც კი ვიცნობ,

— რათ გნებავთ?

— მინდა ამ დღესასწაულებზე ერთი დაბლა ჩავიყვანო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოღვაწეებს გზა უჩვენოს და დარიგება მისცეს.

— ჩინებული განზრახვაა, მაგრამ აქაც დაიგვიანეთ. ბ-ნო მორიელო. სოლომონს სათქვენოდ აღარ სცალია.

— რა დაემართა, ავათ ხომ არ არის, ბ-ნო პეტრე?

— არა, ჩემო კარგო, წერილსა კითხულობს.

— ნეტავ რა წერილია?..

— ბ-ნ ეშმაკს მოუწერია.

— მთელი წელიწადია მას შემდეგ და ნუთუ ამდენ ხანს ვერ წაიკითხა?

— არა, ეს დღეს დილით მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰ, ღმერთო ჩემო! იქნებ გაათავა კითხვა, ბ-ნო პეტრე?

— აბა რასა ბრძანებთ. ისეთი საშიშარი წერილია, ისეთი მძიმე საკითხავი.. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ სოლომონს სათვალეები დაეკარგა გუშინ, ბაღში ჰიდაობის დროს და თითო მარცვლობით კითხულობს.

— მაშ რა წყალში ჩავარდე, ბ-ნო პეტრე?

— წაიყვანეთ სხვა ვინმე, განა ცოტანი არიან?

— არა, არა.. ჩემს გასაჭირს სხვა ვერავინ უშველის..

მე ბრაზ მორეული და გააფთრებული უკან გამოვბრუნდა. ბედი ბ-ნი ეშმაკისა, რომ გზაში არსად გადამეყარა, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა. მომასწრეს!

ვზივარ დღესაც დაღვრემილი ჩემს ოთახში და ვფიქრობ: რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს ამ ფელეტონიდან ჩემმა მკითხველმა? ჩემის აზრით მხოლოდ ერთად ერთი, სახელდობრ:

თუ მას ამ საღდომოთ ჩემი დაპატიჟება გადაწყვეტილი აქვს, ბარემ დროზე უნდა გამაფრთხილოს, თორემ სხვები მოასწრებენ.

მორიელი.

ქუთაისი.

ქუთაისის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობას სამი ტომი შეადგენს, რომელთა ტიპიურ წარმომადგენლებს ქვე გაახლებთ:



სოციალ-დემოკრატი.

სოციალ-ფედერალისტი.

ნაციონალ-დემოკრატი.

გურული სცენა.

„ვეჩერედი".

ამას წინად ბატონო, საქმე მქონდა სამინისტროში თელი სამი საათი ვიბზუალე კადენტსკი კოპრუსში მარა არ იქნა და არა მისი მიგნება. ბოლოს მივედი ერთ კარებიან, კაცები იყო თავმოყრილი. დამანახეს დერეფუნი ჩინონიკი და უთხარი მინისტერის ნახვა მინდა მეთქი...

— დღეს დაგვიანებულია. ვეჩერედი სავსეა, მეტის ჩაწერა აღარ შეიძლება და ზეგე მოდიო...

— კი მარა ზეგამდი რა ვუქმო ბიძია, ამ ქალაქში ყორიფელს ცეხლი ეკიდება, რაცხა ვორი კაპეიკი მაქ იგიც დიმეხარჯება და გზის ფულიც აღარ მექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსის გლეხი (ლენინსა და ტროცკის). ითამაშეთ... აკეთეთ ეგ ქაღალდის სოციალიზმი! უფრთხილდით კია, რომ სული არ შევუბერო!

ნება, ნუ მიზამ მაგას და შემიშვი რაცხა ფერად მეთქი.

— თქვენ გელაპარაკებიან, არ შეიძლებაო.

— არ შევეპამ ძამია მინისტერს, არჩევნებში ჩვენი ოოჯახიდან ცხრამა სულმა მივიცით ხმაი და რომ რამე გლახა გვდომებოდა, მაშვინ არც ქე ევირჩევდით, თქვენ აქანე გყავთ ყოოლდღე და ერთი მეც მიჩვენეთ ჩვენი არჩეული კაცი მეთქი, მარა თქვენც არ მომიკვდეთ, ვეფერით ვერ დევიყოლიე...

მივედი მესამე დღეს ჩივეწერე და ვუცდი: რავარც იყო იპრიანა ღმერთმა და მევიდა დერჟუნი, დაგვიძახა ყველას და გვითხრა: დღეს მინისტერი არ არის და მისი აფხანაკი მიგიღებთო... შენ ხომ არ გადირიე ძამია ვინცხა ხარ? მე, თვითონ მინისტერი მინდა ვნახო თვარა, რამდონი აფხანაკი იმას ყავს იგენი რათ მინდა სოფელში, რომ დეიარებოდა კრებებზე მეც მისი აფხანაკი ვიყავი თქვა.

— ასთე კია და რაც გერჩიოს, იგი ქენიო... ავდექი და წამოვედი ზაფრა ნაცემი მარა ჩემს გულში გადავწყვიტე: თუ გინდა რომ კიდომ იძრას მიწა და თლად დეინგრეს ყორიფელი, მინისტერი მაინც უნდა ვნახო და ველაპარაკო, მტერის ჯინაზე თვარა ახლა რომ ჩევიდე და ჩემმა მეზობლებმა გეიგონ, რომ მინისტერთან არ შემიშვეს, ხომ მომეჭრა თავი. ავდექი და მესამე გზობა პირდაპირ გადაკოტავებული წიველი საჩხუბრათ მარა ახლა ვინცხა სხვაი დამხვდა დერჟუნი... მივედი თვარა მაშვინე მკითხა:

რა გინდა?

— მინისტერი.

— რად გინდა?

— საქმე მაქ.

— რა საქმე გაქ?

— ბატონო, 'შენ თუ გითხარი, იმას რალა უთხრა?

— არა. მეუნდა ვიცოდე რა საქმე გაქ, თვარა ისე შესვლა არ შეიძლება.

— აბა შენ ყოფილხარ მინისტერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რუსი იხრჩვებოდა,
წყალს მიჰქონდა აღელვებულს,
ქართველმა მას თვალი მოჰკრა
და უშველა წყალწაღებულს,

სამშვიდობოს ამოსულმა
რუსმა ღვაწლი დაუფასა:
ჯერ რუსულად შეუკურთხა,
და კვლავ მიაფურთხა მასა.

— მინისტერი არ ვარ მარა „პრიკაზი“ ამისთანა მაქ.

უთხარი და რავაც იყო ჩამწერა, მუაწია დროი დაგვიძახეს და ყველაზე წინ დამაყენეს კარებთან და ვიფიქრე, მართალია აგერ ამდონი ხანი გავცდი, უკაცრავად პასუხია, ფარაც შამომელია, შეიძლება საქმეც ვერ გავაკეთო, მარა ამ დერეფნების ჯინზე მინისტერს მაინც ვნახავ და გულს შევაჯერებ მეთქი...

— აბა ში... მეიცე, მეიცე, პაწე, აგერ დამფუძნებული კრების მწევრი მევიდა და მაგი უჯერეს-რედოთ უნდა შევიდესო. შევიდა იგი და ახლა მოორე ამებუძგა წინ. აგი ერობის წამომარდგენელია და აგიც ისე უნდა შევიდესო. იგიც შევიდა. ახლა ვინცხა მესამე მევიდა... მაშვინ გამოშვავდა წევრი, წამომარდგენელი, დელეგატი დიპლომატი, კომიტეტი, ადუკატი. ამასობაში დროიც ქე გევიდა. მინისტერს მთავრობაში დაუძახესო. იგიც ქე წევიდა და მე და ჩემი „ვეჩერედი“ ქე დავრჩით ერისთავის საქფილესავით ცარიელი.

რ. ჯიბილ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორსმჭვრეტელი პოლიტიკა.

ეშმაკი. (თაგუნას. ჩუმათ, რასაკვირველია) ეგ რა ჯოჯოხეთის მაშხალა გიშოვნია დაუ„ალერსები, მეგობარო?

თაგუნა. (საიდუმლოთ) შენ არ იცი ალბათ, რომ ამ მაშხალის ძმა'დიდი თანამდებობის კაცია და...

ხელშეუხებლობა.

აფსუს, რა კრიალოსანივით აწყობილი ოჯახი, რა უცეცხლო თაფლივით ტკბილი ოჯახი დამექცა და დამეღუპა! აფსუს ჩემი ჩორნოგლაზი ევა! თვალში რომ ჩავვარდნოდი, ხელს არ ამოისომდა, მაგრამ ეხლა თუ „უბატონოთ“ ხმა გავეცი, რომ მომადგება იმ ტუფლის ქუსლებით, იმდენს მიბრაგუნებს, სანამ ორივე ქუსლებს ძირში არ მოაგლეჯავს! მერე, ამ სიძვირის დროს ხალხნო, თავი ვიჩივლო, თუ ტუფლი, რომ აღარ ვიცი!

იძახის თუ: „მე სლაბოდნი ვარო, ნეპრიკოსლოვენიო, ხელს ვერ მახლებო. ეს მანიფესტი მთავრობამ გვიბოძაო“.. ვაი, ჩემი ცოდით დაიხრუკოს, ვინც ეს ხელუხლებობის მანიფესტი გამოსცა! რა-ვქნა, ენა ჩავარდნილი მაქვს... გავიგდო ჩემებურათ წიხლქვეშ და მოვთელო ლეკური ნაბადივით, ხომ გამგზავნენ ვეჩნის სტარასტათ მეტეხის ციხეში, არა და რა ვქნა, როგორ მოვითმინო ასეთი უნიჟენია! ბატონია რაღა, ხემწიფეა, პრეზიდენტია ჩემი! სადაც უნდა წავა, მოვა, როცა უნდა ადგებ-დაწვება, ვინც უნდა იმას შამამიგდებს სახლში და მე შორიდან იესო ქრისტეს ჯოროვით ყურებ ჩამოყრილი უყურებ და ხმას ვერა ვსცემ!..

ეჰ... აფსუს, ჩემი ხოხობივით წყნარი ევა, როგორ შამიშალეს და გადამირიეს, როგორ ჯოჯოხეთის ტარტაროზათ გადამიქციეს!

ეხ... განა მე დედაკაცი ამეებს გამიბედავდა, რომ სხვები არ უჩუჩხუნებდნენ და არ აქეზებდნენ!!!.. მაგრამ.. ეს ყველაფერი ჩვენი პრავიტელსტვას ბრალია. იმ დალოცვილებმა მისცეს ზედი-ზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბესალომ და ეთერი.

აბესალომი (მღერის) „რა ლამაზი ხარ ეთერო!
რა მომხიბლავი ფერისა!,.
სალოცველია კაცთაგან
ფერფლიც შენ ფეხთა მტვერისა!!

ამ დედაკაცებს: ეს სლაბოდნობაო, ეს რავნოპრავიაო, ეს ნეპრიკოსლოვნობაო და იმათაც ფრთები შაისხეს და საითაც უნდათ იქით დაფრინავენ!

ვა, ვა, ვა, განა ამას ვიფიქრებდი, რომ ეს დღე დამადგებოდა! მერე, რა გამეხარდა, კაცო, ეს ხელუხლებობის მანიფესტი რომ გამოაცხადა ჩვენმა პრავიტელსტვამ! მე ვიფიქრე, ეხლა კი გავკეთდი კაცი! ის ვიღაც კუდაბზიკა კავალრები რომ ეღრიჭებოდნენ ჩემს დედაკაცს ჩამოშორდებიან, ხელს ვერ შეახლებენ და ჩემთვის, სობსტვენათ, გუგულივით ვიცხოვრებ მეთქი!

ხალხნო, ეს სადაური სლაბოდნობაა, სადაური დეკრენტია, სადაური მანიფესტია, რომ დედაკაცმა ვისაც უნდა იმას ეარშიყოს, სადაც უნდა იქით გაფრინდ-გამოფრინდეს და მე სობსტვენი ქმარმა, ზაკონი ჭენიხმა ხელი ვერ შევახლო და მიკიჩასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავით შორიდან სვიდეტელივით უყურო?! ვაი, აფსუს გეურქ, აფსუს! ქრისტიანო, დედაკაცზე ჯვარი მე დამიწერია და ჩემ სობსტვენი ცოლს ხელი ვერ შევახო ეს სადაური ზაკონია?! მაშ სალოცავათ ხომ არ მომიყვანია ეს დედაკაცი! ვახ, როგორ ვიწვი, რა ცეცხლი მიტრიალებს ჯიგარში, მაგრამ ვინ არის შამბრალებელი! ოოხ... ამ ზაკონს რა უთხრა!

ხალხნო, ქრიატიანო, ნუ დამხრუკავთ, იწამეთ ღმერთი, მოვითხოვოთ სრაზუმ ყველამ ჩვენი პრავიტელსტვოდან, რომ ეს ერთი მანიფესტი გააუქმოს და ნება მამეცეს ჩემი დედაკაცის ხელის ხლებისა, თორემ ქრისტეს გეფიცებით ფინთ რამეს ჩავადენ და თქვენი სირცხვილიც იქნება!..

გოგია.

ბათუმის ოპერაცია.

საქართველო. ნუ მჭრით, ნუ მჭრით.. საღია.

ანტანტა. გაჩუმდი, ჩემო კარგო, შენი სარგებლობისათვის გჭრით. ერთი ცალი ჩექმა დაგჭირდება.